მოგება საკურსო სხვაობიდან	-	162,470
სულ ფინანსური შემოსავლები	53,841	191,524

შენიშვნა 7 - ფინანსური ხარჯები

	<u>2024</u>	<u>2023</u>
საპროცენტო ხარჯი	935,361	361,968
ზარალი საკურსო სხვაობიდან	1,367,694	-
სულ ფინანსური ხარჯები	2,303,054	361,968

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 8 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ელექტრონული მოწყობილობები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება	1,413,293	7,469,325	980,279	169,696	1,844,665	500,826	176,879	12,554,962
ცვეთა	-	(341,646)	-	(8,485)	(563,072)	(172,500)	(73,115)	(1,158,818)
ბალანსი 31/12/2022	1,413,293	7,127,679	980,279	161,211	1,281,594	328,326	103,763	11,396,145
დანამატები	-	432,642	396,452	-	127,184	37,446	8,438	1,002,162
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	(15,359)	-	-	(15,359)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(318,746)	-	(16,970)	(333,573)	(105,049)	(27,252)	(801,590)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2023	1,413,293	7,241,575	1,376,731	144,242	1,059,846	260,723	84,949	11,581,358
დანამატები	-	-	1,205,383	36,990	33,524	24,549	-	1,300,446
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
აქტივის რეკლასიფიცირება	-	2,582,514	(2,582,514)	-	-	-	-	-
ჩამოფასება	-	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	(318,746)	-	(19,744)	(223,498)	(214,209)	(27,606)	(803,803)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2024	1,413,293	9,505,342	(400)	161,488	869,872	71,063	57,343	12,078,001
ბალანსი 31/12/2023	1,413,293	7,241,575	1,376,731	144,242	1,059,846	260,723	84,949	11,581,358
ბალანსი 31/12/2024	1,413,293	9,505,342	(400)	161,488	869,872	71,063	57,343	12,078,001

- კომპანიის უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით კომერციულ ბანკთან არსებული სესხების საფუძველზე.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 9 - მონაწილეობა მეკავშირე საწარმოში

დასახელება	12/31/2024		12/31/2023			
	საქმიანობა	საბალანსო დირებულება	ფლობილი ინვესტიცია	საქმიანობა	საბალანსო დირებულება	ფლობილი ინვესტიცია
შპს ღია გული - საუნივერსიტეტო კოსპიტალი	მომსახურება	8,294,870	24%	მომსახურება	8,294,870	24%
სულ მონაწილეობა მეკავშირე საწარმოში		8,294,870			8,294,870	

შენიშვნა 10 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	12/31/2024	12/31/2023
ნედლეული და მასალები	202,389	212,641
სასაქონლო მარაგები	235,797	169,252
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
სხვა მარაგები	39,523	39,523
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	477,709	421,415

შენიშვნა 11 - გაცემული სესხები

	12/31/2024	12/31/2023
პარტნიორებზე გაცემული სესხები	154,327	295,117
გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტები	37,902	3,493
სულ გაცემული სესხები	192,229	298,610

ამოძრაობა გაცემულ სესხებში:

	2024	2023
1 იანვარს	298,610	48,988
გაცემული სესხები	100,600	546,000
გაცემული სესხების დაფარვა	(241,390)	(299,871)
დარიცხული პროცენტი	34,409	19,110
დარიცხული პროცენტის მიღება	-	(15,617)
31 დეკემბერი	192,229	298,610

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 12 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2024	12/31/2023
მოთხოვნები სტუდენტების მიმართ	1,143,978	1,666,045
გადახდილი ავანსები	283,838	640,756
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	74,911	122,045
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,502,727	2,428,846

შენიშვნა 13 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	12/31/2024	12/31/2023
ლარი საბანკო ანგარიშებზე	170,203	67,580
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	493,512	230
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	663,714	67,810

შენიშვნა 14 - სასესხო ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
მოკლევადიანი სესხები	586,120	66,325
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1,184,998	1,147,082
გრძელვადიანი სესხები	9,561,738	10,910,653
გადასახდელი პროცენტები	-	164
	11,332,855	12,124,224
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	11,332,855	12,057,735
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხები	-	66,489
სულ სასესხო ვალდებულებები	11,332,855	12,124,224

გრძელვადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	12/31/2024		12/31/2023	
				ევრო	ექვივალენტი ლარი	ევრო	ექვივალენტი ლარი
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.75.5818)	ევრო	8.50%	11/9/2029	592,581	1,736,619	592,581	1,763,107
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.75.7067)	ევრო	8.27%	9/10/2027	67,350	197,376	67,350	200,387
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.75.7473)	ევრო	8.67%	1/10/2028	49,957	146,403	49,957	148,636
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.75.7786)	ევრო	5%	3/27/2028	50,782	148,821	50,782	151,091
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.75.8142)	ევრო	5%	8/11/2031	70,672	207,113	70,672	210,272
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.758272)	ევრო	5%	9/10/2031	110,326	323,321	110,326	328,253
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.7510281)	ევრო	7.80%	10/27/2033	2,725,409	7,987,083	2,725,409	8,108,908
სულ გრძელვადიანი სესხები				3,667,077	10,746,735	3,667,077	10,910,654

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოკლევადიანი სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	12/31/2024		12/31/2023	
			ევრო	ექვივალენტი ლარი	ევრო	ექვივალენტი ლარი
ივანე ჩერქეზიშვილი 26.12.2023	ლარი	18%	-	-	-	66,325
სს თბილისი ლიზინგი	ლარი	21.50%	-	-	-	23,818
სს თბილისი ლიზინგი	ლარი	21.50%	-	-	-	19,272
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.75.5818)	ევრო	8.50%	103,137	302,254	91,779	273,070
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.75.7067)	ევრო	8.27%	22,891	67,084	20,751	61,741
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.75.7473)	ევრო	8.67%	14,968	43,865	13,512	40,203
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.75.7786)	ევრო	5%	14,763	43,265	14,037	41,764
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.75.8142)	ევრო	5%	9,179	26,899	8,732	25,980
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.758272-1520000)	ევრო	5%	14,112	41,356	13,425	39,944
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.7510281)	ევრო	7.80%	225,303	660,274	208,816	621,290
სს "პროკრედიტ ბანკი" (ხელშ.7511156)	ევრო	8.50%	200,000	586,120	-	-
სულ მიმდინარე სესხები			604,353	1,771,118	371,052	1,213,407

მოძრაობა მიღებულ სესხებში

	2024	2023
ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	12,124,224	3,839,730
სესხზე დარიცხული პროცენტი	935,361	361,952
მიღებული ფულადი სახსრები	1,824,460	9,130,776
გადახდილი პროცენტი	(935,606)	(361,788)
გადახდილი ძირი თანხა	(2,450,392)	(1,278,999)
საკურსო სხვაობის გავლენა	(165,191)	432,553
სულ ნასესხები სახსრები	11,332,855	12,124,224
მოკლევადიანი ნაწილი	1,771,118	1,213,407
გრძელვადიანი ნაწილი	9,561,738	10,910,653

შენიშვნა 15 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
სტუდენტებისგან მიღებული ავანსები	407,986	409,798
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	836,074	1,145,468
გადასახდელი ხელფასები	373,477	226,626
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,617,538	1,781,892

მშს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
16. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
 - (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
 - (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
 - (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა;
 - (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.
- თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	2024	2023
სასესხო ვალდებულებები	-	66,325
სასესხო ვალდებულებები - პროცენტი	-	164
გაცემული სესხები	154,327	295,117
მისაღები პროცენტები	37,902	3,493

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2024	2023
მარაგების შეძენა	-	4,540.00
მომსახურების შეძენა	-	6,000.00
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	34,409	19,110.00
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	23,577	13,136.00

კომპანიის ღირებულების ანაზღაურება 2023 წელს შეადგენდა 77,994 ლარს, ხოლო 2024 წელს 103,785 ლარს.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები არ განხორციელებულა, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ზოგადი ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, როგორც კერო სამართლის იურიდიული პირი, დაფუძნდა ორგანიზაციის წარმატებული მართვისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე, მოტივირებული და კომპეტენტური გუნდის მიერ.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (მომავალში EEU) ერთ-ერთი წარმატებული ინსტიტუციაა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, რომელმაც საქმიანობა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით 2013 წლის სექტემბრიდან სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსით დაიწყო. საქმიანობის წარმატებული დასაწყისიდან ორ წელიწადში ხელახალი ავტორიზაციის გზით სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვა და 2015 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს, როგორც სამსაფეხურიანი უნივერსიტეტი და პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

EEU-მ მოკლე ისტორიის მიუხედავად, შეძლო მოეპოვებინა ნდობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, როგორც ხარისხზე ორიენტირებული, თანამედროვე კორპორატიული სტილის მქონე ინსტიტუცია. უნივერსიტეტმა სწრაფი და მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა მიმართულებებით. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს პროგრესი ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. უნივერსიტეტმა პარტნიორობა დაამყარა 40-მდე საერთაშორისო უნივერსიტეტთან და ორგანიზაციასთან, მათ შორის ბრიტანეთის, აშშ, გერმანიის, უნივერსიტეტებთან, მოპოვებული აქვს **ERASMUS+**-ის, აშშ საელჩოს, ბრიტანეთის საბჭოს, არაერთი გრანტი. განხორციელა 50-ზე მეტი საერთაშორისო პროექტი და აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ფონდებთან, არის არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, მათ შორის: ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაცია (**EPLO**), მსოფლიო განათლების მომსახურების ორგანიზაცია (**WES, USA**), დიდი ბრიტანეთის მკვლევართა პოტენციალის განმახორციელებელი პროგრამა (**Vitae**), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (**WHO**); დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების აკადემია (**Advance HE**).

სტრატეგიული გეგმებით დასახული მიზნების განსახორციელებლად, უნივერსიტეტს სტრატეგიულ გეგმაში გამოყოფილი აქვს **ხუთი ძირითადი პრიორიტეტი**, მათ შორის **სამი სტრატეგიული პრიორიტეტი** და ორი გამჭოლი პრიორიტეტი.

სუბიექტის განვითარების გეგმები

სტრატეგიული პრიორიტეტები:

1. მიმზიდველობის გაზრდა (სტრატეგიული პრიორიტეტი):

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიზანია, რომ ეფექტიანი საქმიანობითა და სტრატეგიული გეგმის განხორციელების გზით, გავზდეთ ქვეყნის მასშტაბით უფრო მეტად წარმატებული უნივერსიტეტი. რისთვისაც საჭიროა, რომ ამჟამად არსებული და სამომავლო მიღწევები გარდაისახოს კიდევ უფრო ძლიერ ორგანიზაციულ იმიჯში, რათა საზოგადოების თვალში დაიმკვიდროს საკუთარი სახელი, რომელიც ასოცირდება სტუდენტებისა და პერსონალის წარმატებასთან. აღნიშნული მიდგომა დაეხმარება უნივერსიტეტს, რათა დააჩქაროს შემდგომი განვითარება და კიდევ უფრო მეტად გააძლიეროს მისი პოზიცია უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში.

ჩვენი წარმატების საზომია: სტუდენტური კონტიგენტის მზარდი მაჩვენებელი, მუდმივად ზრდადი ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი, ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტების ჩარიცხვის გაზრდილი მაჩვენებელი, წარმატებული სტუდენტების უპირატესი არჩევანი, გაუმჯობესებული და ძლიერი იმიჯი;

2. კვლევების განვითარება (სტრატეგიული პრიორიტეტი):

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა, როგორც კვლევებზე ორიენტირებულმა უნივერსიტეტმა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ამ მიმართულებით, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვამ. ახლა კი საჭიროა უნივერსიტეტში ძლიერი კვლევითი კულტურის დანერგვის მიზნით არსებულ მიღწევებზე დაყრდნობით და სტრატეგიული გეგმარების გამოყენებით სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარება.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კიდევ უფრო განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ახალი სასწავლო სემესტრიდან, უნივერსიტეტის სტუდენტები და პერსონალი უზრუნველყოფილნი იქნებიან თანამედროვედ აღჭურვილი სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურით, რომელიც ხელს შეუწყობს გამოყენებით კვლევების განხორციელებას, რაც საბოლოო ჯამში აისახება და გავლენას მოახდენს საუნივერსიტეტო საზოგადოების სამეცნიერო სამუშაო ხარისხზე და ხელს შეუწყობს მათი ნაშრომების საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებას.

ჩვენი წარმატების საზომია: საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, კვლევითი ინფრასტრუქტურის რაოდენობისა და აღჭურვის მაჩვენებელი, საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმის რაოდენობის მაჩვენებელი, რომლებშიც იქნა გაძლიერებული კვლევითი კომპონენტები, კვლევითი პუბლიკაციების რაოდენობა, სამეცნიერო ჟურნალების მრავალფეროვნება, კონფერენციებზე მონაწილეობის მაჩვენებელი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, ინსტიტუტების რაოდენობის მაჩვენებელი, სამეცნიერო-კვლევითი ბიუჯეტის ზრდის ოდენობა.

3. ინტერნაციონალიზაცია (სტრატეგიული პრიორიტეტი)

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მიზანდასახულად და ნაბიჯ-ნაბიჯ ისწრაფის ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისაკენ. ამავდროულად, ღია არის არა მხოლოდ ევროპისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

ჩვენი მიზანია, გავხდეთ მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი სასურველი უნივერსიტეტი, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები მიიღებენ უმაღლესი ხარისხის ევროპულ განათლებას, ხოლო აკადემიური პერსონალი კი მოახდენს საკუთარი პოტენციალის რეალიზაციას.

აღნიშნულის მიზნის მხარდასაჭერად, შემუშავდა და დაინერგა უცხოელი სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამები, მოიზიდა უცხოელი აკადემიური პერსონალი, დამყარდა სხვადასხვა საერთაშორისო კავშირები და თანამშრომლობითი ხასიათის ურთიერთობები.

ინტერნაციონალიზაციის პროცესებს უნივერსიტეტი განიხილავს როგორც საუკეთესო შესაძლებლობას, რათა ქართველ სტუდენტებსაც შევთავაზოთ საერთაშორისო სწავლის გამოცდილება, ხოლო უნივერსიტეტის პერსონალმა კი საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუმჯობესოს სწავლა-სწავლების, კვლევითი და მმართველობითი უნარები. განახორციელოს უცხოელ კოლეგებთან ერთად საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროექტები. აგრეთვე, დასახული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტი ისწრაფვის გაზარდოს როგორც ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე არსებულ ქართულენოვან პროგრამებში საერთაშორისო კომპონენტები.

ჩვენი წარმატების საზომია: უცხოელი თანამშრომლობის რაოდენობა სწავლა/სწავლების მიმართულებით, უცხოელი თანამშრომლობის რაოდენობა კვლევების მიმართულებით, სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული უცხოელი პერსონალის რაოდენობა, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების რაოდენობა, გაცვლით პროგრამებში სტუდენტებისა და პერსონალის მაჩვენებელი, უცხოელი სტუდენტების რაოდენობა, უცხოელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა, განხორციელებული საერთაშორისო ღონისძიებებისა და აქტივობების რაოდენობა;

4. მმართველობის გაძლიერება (გამჭოლი პრიორიტეტი)

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ახერხებს, სტუდენტებისა და პერსონალის, შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოლოდინების გამართლებას. აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს კომპეტენტურ და შედეგზე ორიენტირებულ მენეჯმენტს. ამ კუთხით, უნივერსიტეტი მუდმივად ისწრაფვის, რომ განავითაროს ეფექტიანი მმართველობითი სტრუქტურა და თანამშრომელთა კომპეტენციები. ამისათვის ვიზიდავთ, როგორც მაღალკვალიფიციურ კადრებს, ასევე ვახდენთ არსებული კადრების პროფესიული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას. პროცესების მართვის ეფექტიანი სისტემა შესაძლებელს ხდის უზრუნველყოფილი იქნეს უმაღლესი განათლების, კვლევისა და ბიზნესს შორის უწყვეტი კავშირი.

ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის განვითარება, რომელიც ვრცელდება ყველა სერვისისა და საქმიანობაზე. მხოლოდ ხარისხის განვითარებაზე მუდმივად ზრუნვით არის შესაძლებელი მიღწეულ იქნეს მთავარი მიზანი კიდევ უფრო გაძლიერდეს უნივერსიტეტის იმიჯი და გავხდეთ ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო და მოთხოვნადი უნივერსიტეტი ბაზარზე.

ჩვენი წარმატების საზომია: პერსონალის რაოდენობა, პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, პერსონალის და სტუდენტის კმაყოფილება, გარე შეფასების შედეგები - ავტორიზაცია/აკრედიტაცია, უცხოელი ექსპერტები და ა.შ. საუნივერსიტეტო სერვისებისა და მომხმარებელთა რაოდენობა.

5. ინფრასტრუქტურის განვითარება (გამჭოლი პრიორიტეტი):

დასახული მიზნების მისაღწევად და ზემოთხსენებული სამი სტრატეგიულ პრიორიტეტის უზრუნველსაყოფად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება. მხოლოდ თანამედროვე და შესაბამის ლაბორატორიული და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების ეფექტიანი და სწრაფ მიწოდებას.

ყოველივე ამის მისაღწევად აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ახალი კამპუსის და სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიების მშენებლობა დასრულდა და შესაბამისად აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით, მაღალი სიჩქარის ინტერნეტით და ყველა საჭირო ინვენტარით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისათვის შესაბამის სასწავლო გარემოს.

ასევე, ინფრასტრუქტურაში მუდმივი ინვესტიციით შევძლებთ განვავითაროთ სასწავლო, კვლევითი, სამუშაო და რეკრეაციულ გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საუნივერსიტეტო საზოგადოების განვითარებას და ორგანიზაციის ეფექტურ ფუნქციონირებას.

ჩვენი წარმატების საზომია: ინფრასტრუქტურაში მიმართული ბიუჯეტის ოდენობა, ახალი კამპუსის ინფრასტრუქტურა, სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილება, სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურის რაოდენობა.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი საქმიანობას ახორციელებს ორ კამპუსში.

პირველი სასწავლო კამპუსი - მდებარეობს ქ. თბილისში. ფუტკარაძის ქ. N1-ში სადაც, ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის აქტივობების სრულყოფილად და საფუძვლიანად განხორციელების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განთავსებულია შესაბამისი სპეციფიკაციის ლაბორატორიები. მათ შორის, მიკრო-ბიოლოგიის, ბიოქიმიის, ჰისტოლოგიისა და უჯრედული ბიოლოგიის ლაბორატორიები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ლაბორატორიული ჭურჭლით, მასალებით, რეაქტივებით, სხვადასხვა ტიპის დანადგარებით, გამწოვი კარადებით, მიკროსკოპებით და იმ აპარატურით, რაც საჭიროა ბიოქიმიური ანალიზების ჩასატარებლად, ჰისტომორფოლოგიური პრეპარატების სანახავად, კვლევების განსახორციელებლად.

შენობაში ასევე განთავსებული სიმულაციური ცენტრები, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო მულაჟებით და საჭირო ინვენტარით, ასევე ამავე შენობაშია განთავსებული ე.წ. **OSCE**-ის საგამოცდო ცენტრი, სადაც სტუდენტები მონაწილეობას იღებენ შესაბამისი სტანდარტის საგამოცდო პროცესში. შენობაში ასევე ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასები, სადაც ხდება სასწავლო და საგამოცდო პროცესის უზრუნველყოფა.

მეორე სასწავლო-ადმინისტრაციული კამპუსი - მდებარეობს აღმაშენებლის ხეივანზე, მე-12 კმ, ირინა ენუქიძის ქ.6-ში, (აშშ-ს საელჩოს მიმდებარედ). შენობა არის ახალი აშენებული და განთავსებულია 8000 კვ.მ გამწვანებულ სარეკრეაციო სივრცეში. კამპუსი აღჭურვილია თანამედროვე ციფრული ტექნიკით, სმარტ-დაფებით, მონიტორებით, უახლესი კომპიუტერული ტექნიკით, თანამედროვე ბიბლიოთეკით, სტანდარტების შესაბამისი სახანძრო და უსაფრთხოების სისტემებით, მაღალი სიჩქარის ინტერნეტით და სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიებით.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ასევე ფლობს **მე-5 კლინიკური საავადმყოფოს 24 %-იან წილს**, სადაც ჩვენს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შეუფერხებლად გაიარონ კლინიკური კურსები და მიიღონ პრაქტიკული ცოდნა.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისთვის, როგორც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული და კვლევაზე ორიენტირებული ინსტიტუციისთვის, ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტია სამეცნიერო კვლევები და განვითარება. ამისათვის ის მუდმივად:

- ახალსებს აკადემიურ პერსონალს, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარებს, ახალი ცოდნისა და მაღალი ხარისხის სამეცნიერო პუბლიკაციების შექმნისთვის, აგრეთვე მხარს უჭერს მათ კვლევითი პოტენციალის განვითარებას;
- ავითარებს კვლევითი ეთიკის კულტურას და ხელს უწყობს ფუნდამენტური, გამოყენებითი და ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებას;
- ახორციელებს კვლევის შედეგების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში;
- უზრუნველყოფს სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციას და მათ ჩართულობას;
- თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით;
- უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით მიღებული შედეგების გამოყენებას;
- ოპტიმალურად და ეფექტიანად იყენებს ინტელექტუალურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს ხარისხიანი კვლევების განსავითარებლად.

უნივერსიტეტში შექმნილა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული **”სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი“**, რომლის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში დოქტორანტურის საფეხურზე სწავლა-სწავლება-კვლევის პროცესის უწყვეტი განვითარება და ხელშეწყობა; უნივერსიტეტში განხორციელებული სადოქტორო კვლევების ეთიკის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე ზრუნვა. დოქტორანტების მხარდაჭერა, მათი კვლევითი უნარების და აკადემიური პერსონალის პროფესიული და აკადემიური უნარების განვითარება, დოქტორანტურის საფეხურზე სწავლა-სწავლების სტრატეგიის განვითარება და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, დოქტორანტების სამეცნიერო და საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართულობის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რომ სადოქტორო კვლევების ცენტრს ხელმძღვანელობს ბრიტანელი მეცნიერი და განათლების ექსპერტი.

უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს შვიდი კვლევითი ცენტრი :

- **ფსიქოლოგიისა და ნეირო-მეცნიერების კვლევითი ცენტრი** - ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ კვლევით ერთეულს, რომლის მიზანია თანამედროვე ნეიროტექნოლოგიური და ბიომეტრიული აპარატურის გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ანალიტიკური და სამეცნიერო სამუშაოების განხორციელება და ამ გზით ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების განვითარება საქართველოში; ინოვაციური მიგნებების გაკეთება, საერთაშორისო ინოვაციური და ერთობლივი კვლევების განხორციელება და მსოფლიოში საქართველოს სამეცნიერო სტატუსის ამაღლება.

- **არქიტექტურის კვლევითი-საპროექტო ბიურო** - ბიურო წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალ კვლევით ერთეულს, რომლის მიზანია უნივერსიტეტში კვლევითი, რეალური სასწავლომეთოდური და საწარმოო ბაზის შექმნა ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულებით; სამეცნიერო-კვლევითი კადრების მომზადება არქიტექტურის მიმართულებით; კარიერული განვითარების ხელშეწყობა არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტებისთვის და მაღალკონკურენტული პროფილური ბიზნესსტრუქტურის შექმნა.
- **ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი** - ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალ კვლევით ერთეულს, რომლის მიზანია ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავება და განხორციელება; უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაში საკუთარი წვლილის შეტანა; ინტერდისციპლინურ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ჩართულობის მხარდაჭერა.
- **საერთაშორისო საზღვაო სამართლისა და პოლიტიკის ინსტიტუტი** - ცენტრი კვლევით სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზნებია დარგში მოღვაწე ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერებისა და ექსპერტების მონაწილეობით სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება; საზღვაო სამართლისა და პოლიტიკის სფეროში სიღრმისეული კვლევა, გლობალური და რეგიონული საზღვაო სამართლის პროგრესულ განვითარებაში წვლილის შეტანა; მკვლევართა, სტუდენტთა და საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო საზღვაო სამართლის საკითხებში; საქართველოს მიერ მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა და ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა.
- **მიგრაციისა და დიასპორის კვლევითი ცენტრი** - ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალ კვლევით ერთეულს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მკვლევარების, სტუდენტების, საჯარო მოხელეების, სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას მიგრაციისა და დიასპორის საკითხებზე; ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვას მიგრაციისა და დიასპორის საკითხებზე სამეცნიერო და კვლევით ღონისძიებებში; ხელი შეუწყოს საქართველოში მიგრაციისა და დიასპორის პოლიტიკის განვითარებას.

➤ **გამოყენებითი კვლევების მრავალფუნქციური ცენტრი** - ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ კვლევით ერთეულს, რომლის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, უნივერსიტეტის ინტელექტუალური და კვლევითი პოტენციალის განვითარება და რეალიზება, ბიზნესის პრობლემურ საკითხებზე ორიენტაცია და ძალისხმევის წარმართვა მათი დროული გადაწყვეტისთვის – ბიზნესთან, სამეცნიერო და საერთაშორისო დაწესებულებებთან, სახელმწიფო და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გზით.

ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა არაერთი აქტივობა:

- გამოცემა - „**სამეცნიერო შრომების კრებული**“ (ყოველწლიური გამოცემა)
- ჩატარდა არაერთი საერთაშორისო კონფერენცია
- აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით ინგლისური ენიდან ითარგმნა წიგნი „**ფინანსური აღრიცხვა**“ (**ROBERT KEMP – University of Virginia; JEFFREY WAYBRIGHT – Spokane Community Collage**)
- ხორციელდება ERASMUS +ის Capacity building for higher education ფარგლებში საგრანტო პროექტის მომზადება ევროკავშირის ოთხი პარტნიორი უნივერსიტეტის ჩართულობით:

უცხოელი პარტნიორები:

- Sorbonne Université, France (confirmed participation) University of
 - Nicosia, Cyprus (confirmed participation)
 - University of Alicante, Spain (confirmed participation)
 - University of Middlesex, UK (confirmed participation)
 - Adam Mickiewicz University, Poland (confirmed participation)
- 2022 წელს EEU-ს აკადემიური პერსონალის ჯგუფმა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ფუნდამენტური კვლევების კონკურსში შეიტანა პროექტი, რომელიც გამარჯვებულად გამოცხადდა 2023 წელს.
- 2022 წელს EEU განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა დოქტორანტების კვლევითი გრანტების კონკურსში და რომელიც 2022 წლის ოქტომბერში გამარჯვებულად გამოცხადდა.
- ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა ახალგაზრდა მეცნიერთა (პოსტდოქტორანტების) კვლევითი გრანტების კონკურსში - შედეგი მოლოდინის რეჟიმშია.
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით 2022 წლის 29 იანვარს ჰიბრიდულ ფორმატში გაიმართა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია: **„ქვეყნის განვითარების შესაძლებლობები პოსტ-პანდემიურ პირობებში“**
- 2022 წლის 2 აპრილს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ახალ კამპუსში გაიმართა პედაგოგთა კონფერენცია თემაზე – **„მიგრაციის ფემინიზაცია და მისი გავლენა მოზარდებზე“**. კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა შრომითი მიგრაციის ფემინიზაციის ზეგავლენის შესწავლა მოზარდების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, მათი განათლების ხარისხზე და ემიგრანტ დედებთან ურთიერთობის ეთიკურ-მორალურ მხარეზე.
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ახალგაზრდა საჯარო მოხელეთა აუდიტორია „ასმას“, ორგანიზებით 2022 წლის 10 აპრილს ჰიბრიდულ ფორმატში გაიმართა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია: **„შავი ზღვის ცვალებადი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი: უსაფრთხოებისა და თავისუფლების ძიებაში“**.
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა (EEU) და ქ. თბილისის 172 საჯარო სკოლის კლუბის „ბიოლაბი“ ორგანიზებით 2022 წლის 11 მაისს, EEU-ს ახალ კამპუსში გაიმართა მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: **„გენეტიკა და ჯანმრთელობა“**
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და ელექტრონული კომერციის ინსტიტუტის (კიოლნი, გერმანია) ორგანიზებით 2022 წლის 4 ნოემბერს გაიმართა რიგით მეორე ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: **„ციფრული მენეჯმენტი, ტექნოლოგიური შესაძლებლობები და გამოწვევები“**.
- 2022 წლის 18 ნოემბერს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – “ომი და მიგრაცია”.
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით 2022 წლის 16 დეკემბერს, გაიმართა საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია: **”ქვეყნის განვითარების შესაძლებლობები პოსტ-პანდემიურ პირობებში”**

უნივერსიტეტი სტაბილურად და სისტემატურად ახდენს პერსონალის კვლევითი საქმიანობის განვითარების მხარდაჭერას, რისთვისაც შემუშავებულია სხვადასხვა რეგულაციები.

კერძოდ:

- კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის სპეციალური „ბონუს სისტემა“;
- სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი;

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

1. ფინანსური მაჩვენებლები - ქვემოთ მოცემულია ცხრილები, სადაც წარმოდგენილია უნივერსიტეტის ფინანსური მაჩვენებლები

ცხრილი N1. (ბალანსი)

	12/31/2024	12/31/2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	12,078,001	11,581,358
არამატერიალური აქტივები	151,792	187,113
მონაწილეობა მეკავშირე საწარმოში	8,294,870	8,294,870
სულ გრძელვადიანი აქტივები	20,524,663	20,063,342
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	477,709	421,415
გაცემული სესხები	192,229	298,610
სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნები	1,502,727	2,428,846
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	663,714	67,810
სულ მიმდინარე აქტივები	2,836,379	3,216,681
სულ აქტივები	23,361,042	23,280,023
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	1,908,640	1,908,640
გაუნაწილებელი მოგება	7,986,779	7,096,499
ძირ. საშუალების გადაფასების რეზერვი	352,053	352,053
სულ საკუთარი კაპიტალი	10,247,472	9,357,192
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9,561,738	10,910,653
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	9,561,738	10,910,653
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,617,538	1,781,892
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1,771,118	1,213,570
გადასახდელი გადასახადები	163,176	16,715
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3,551,832	3,012,177
სულ ვალდებულებები	13,113,570	13,922,831
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	23,361,042	23,280,023

ცხრილი N2. (მოგება-ზარალი)

	2024	2023
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	11,629,751	10,706,888
რეკლამის ხარჯი	(81,648)	(251,025)
ხელფასის ხარჯი	(5,364,657)	(4,866,353)
იჯარის ხარჯი	(378,768)	(367,390)
ცვეთის ხარჯი	(803,803)	(801,590)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,524,096)	(1,484,579)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	56,379
სხვა საოპერაციო ხარჯი	(337,285)	(81,244)
საოპერაციო მოგება	3,139,493	2,911,086
ფინანსური შემოსავალი	53,841	191,524
ფინანსური ხარჯი	(2,303,054)	(361,968)
მოგება დაბეგვრამდე	890,280	2,740,642
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება	890,280	2,740,642
ძირითადი საშუალების აფასება	-	-
სრული შემოსავალი	890,280	2,740,642

უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით მიღებული შემოსავალი, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების/ფონდების მიერ გამოყოფილი გრანტებიდან მიღებული შემოსავალი, მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამა, ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი ფულადი ფონდები, რეზიდენტი და არარეზიდენტი დამფუძნებლების მიერ განხორციელებული შენატანები, კომპანიის წესდებითა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

ზემოთ ჩამოთვლილი კლასიფიცირებული შემოსავლებიდან, უნივერსიტეტის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს, მისი საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რაც გულისხმობს ბიზნესისა და ინჟინერიის, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა, განათლების მეცნიერებების და ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტებზე განხორციელებულ სხვადასხვა საფეხურიან სწავლებიდან მიღებულ შემოსავლებს და სხვა შემოსავლებს.

ზემოაღნიშნულ ფინანსურ ინფორმაციაზე დაყრდნობით (ცხრილი N1, N2) ჩანს, რომ უნივერსიტეტი არის ფინანსურად მდგრადი და მის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება.

2. არაფინანსური მაჩვენებლები - კომპანიას დასაქმებული ჰყავს 250 ზე მეტი თანამშრომელი, საიდანაც 40% არის ადმინისტრაციის თანამშრომელი, ხოლო 60% აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათთვის შექმნილია კომფორტული სამუშაო გარემო, შესაბამისი ინვენტარით და პირობებით.

კომპანია თანამშრომლობს სხვადასხვა მომწოდებლებთან და აუტსორს კომპანიებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიას მომსახურებით და სხვადასხვა შესყიდვებით. კომპანიის ბალანსზეა როგორც ძირითადი საშუალებები, ასევე სხვადასხვა მარაგები, რომელიც გამოიყენება ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობაში.

ძირითადი საშუალებები მოიცავს მოძრავ და უძრავ ქონებას, როგორცაა: მიწა, შენობა, მანქანა-დანადგარები, საოფისე ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნები, ავეჯი, ლაბორატორიული ინვენტარი. ცვეთის მეთოდად გამოყენებულია წრფივი მეთოდი.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი არის ეკონომიკურ საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია კონკრეტული მიზნით და მოქმედებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. მიზნის განსახორციელებლად, ისევე როგორც ყველა სხვა კომპანიის, ასევე უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია - ფინანსური რესურსი და მისი მდგრადობა, სხვა დანარჩენ რესურსებთან ერთად.

ფინანსური რესურსების მდგრადობა და ეკონომიკურად მიღწევადობა, განპირობებულია უნივერსიტეტის შემოსავლებით სხვა გარემო ფაქტორებთან ერთად, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ გარემოზე. იმისათვის, რომ კომპანია მზად იყოს გაუთვალისწინებელი რისკების დაძლევისათვის და თამამად უპასუხოს ბაზრის მოთხოვნებს და გამოწვევებს, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი არ ეწევა არაპროფილურ საქმიანობას და მთლიანად ორიენტირებულია უმაღლესი განათლების მაღალ ხარისხზე, მისი მიერ გენერირებული შემოსავლების პორთფელიც შესაბამისად არის დივერსიფიცირებული.

საგანმანათლებლო პროგრამების შეუფხვებლად განხორციელების მიზნით, ბიუჯეტში თავიდანვე არის გაწერილი ყველა ის აქტივობა და საჭიროება, რომელიც შესაძლოა დაუდგეთ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს. ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ატიურად არის ჩართული უსდ-ს ყველა სტრუქტურული ერთეული და ისინი პროექტის სახით წარმოადგენენ თავიანთ საჭიროებებზე მორგებულ განაცხადებს, რომლის დამუშავებისა და გაანალიზების შემდეგ ხდება ამ მონაცემების გათვალისწინება ცენტრალური ბიუჯეტის ფორმირებისას.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი დაგეგმილია სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მისიის შესრულების მიღწევადობის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს სწავლებისა და კვლევის ინტეგრირებას და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვას, ქართულ და მსოფლიო კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას სტუდენტებისა და აკადემიური საზოგადოებისათვის, სტუდენტთა დასაქმებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლებას ცვალებადი საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებულ, საერთაშორისო დონის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებად ჩამოყალიბებას.

უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა, რაც იძლევა საშუალებას, რომ ზემოთხსენებული პროცესები წარმართოს სწორად, იყოს გამჭვირვალე და სწორად იყოს ჩართული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. შესაბამისად მაქსიმალურად იყოს გადაზღვეული რისკები.

უსდ-ში მიმდინარე პროცესები

2025 წლის 1-2 ოქტომბერს შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი“ შედგა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა საექთნო პროგრამის შეფასება და შესაბამისობის დადგენა ეროვნული სტანდარტების მიხედვით. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა პროგრამის აკადემიური, ინფრასტრუქტურული და ადმინისტრაციული რესურსების დეტალური ანალიზი, საგანმანათლებლო პროცესში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის შეფასება.

გარდა ამისა, 2025 წლის 19-21 ოქტომბერს უნივერსიტეტს ესტუმრნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომელთა მონაწილეობით ჩატარდა კლასტერული საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესი. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთი, ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის სამი და იურიდიული და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის ორი საგანმანათლებლო პროგრამა — ჯამში ექვსი პროგრამა. ექსპერტთა გუნდის შეფასება მოიცავდა საგანმანათლებლო მიზნების, სასწავლო შედეგების, სწავლების მეთოდებისა და რესურსების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზს. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აღიარებასა და სტუდენტთა აკადემიური მობილობის გაფართოებას.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა 2021 წლიდან დღემდე განვლო განვითარების არაერთი სტრატეგიული ეტაპი და მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურული განვითარების მიმართულებით. 2023 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო №5 კლინიკური საავადმყოფოს 24%-იანი წილის შექმნა, რის შედეგადაც კლინიკამ მიიღო საუნივერსიტეტო სტატუსი და ფუნქციონირებას აგრძელებს როგორც „ღია გული – საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“.

აღნიშნული სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, უნივერსიტეტმა დამატებით განახორციელა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის კლინიკური კურსების უმაღლესი სტანდარტით მიწოდებას. კლინიკის ტერიტორიაზე არსებული ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობის სრულყოფილი რეკონსტრუქციის შედეგად, შეიქმნა კლინიკური და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარების ცენტრი 800 კვ.მ ფართობით.

მიმდინარეობს შენობის აღჭურვა თანამედროვე გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის სისტემებით, სახანძრო უსაფრთხოების სრული კომპლექსით, მაღალი სიჩქარის ინტერნეტით, ელექტროენერჯისა და ინტერნეტის ალტერნატიული წყაროებითა და ვიდეოსათვალთვალო სისტემით.

ცენტრის შიდა სივრცე მოიცავს თანამედროვე სამედიცინო ლაბორატორიებს სრულად აღჭურვილი ინვენტარით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) სადგურებს (12 სადგური), იზოლირებული დაკვირვების დერეფნებით და აუდიო-ვიდეო კონტროლის სისტემით, სიმულაციურ ცენტრებს სასწავლო სიმულაციური ტექნოლოგიებით და მანეკენებით, 100-მდე სტუდენტზე გათვლილ კომპიუტერულ კლასს, ლაბორანტისა და ადმინისტრაციის სამუშაო ოთახებს, სველი წერტილებს და მოსასვენებელ ზონებს სტუდენტებისთვის;

შენობა აღჭურვილია ორი ლიფტით და სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინკლუზიური და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხედვას.

23 ოქტომბერი 2025 წ.

დირექტორი : ივანე ჩერქეზიშვილი

ფინანსური მენეჯერი : ნინო ლოცოშვილი

გარდა ამისა, 2025 წლის 19-21 ოქტომბერს უნივერსიტეტს ესტუმრნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომელთა მონაწილეობით ჩატარდა კლასტერული საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესი. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთი, ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის სამი და იურიდიული და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის ორი საგანმანათლებლო პროგრამა — ჯამში ექვსი პროგრამა. ექსპერტთა გუნდის შეფასება მოიცავდა საგანმანათლებლო მიზნების, სასწავლო შედეგების, სწავლების მეთოდებისა და რესურსების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზს. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აღიარებასა და სტუდენტთა აკადემიური მობილობის გაფართოებას.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა 2021 წლიდან დღემდე განვლო განვითარების არაერთი სტრატეგიული ეტაპი და მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურული განვითარების მიმართულებით. 2023 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო №5 კლინიკური საავადმყოფოს 24%-იანი წილის შეძენა, რის შედეგადაც კლინიკამ მიიღო საუნივერსიტეტო სტატუსი და ფუნქციონირებას აგრძელებს როგორც „ღია გული – საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“.


აღნიშნული სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, უნივერსიტეტმა დამატებით განახორციელა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის კლინიკური კურსების უმაღლესი სტანდარტით მიწოდებას. კლინიკის ტერიტორიაზე არსებული ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობის სრულყოფილი რეკონსტრუქციის შედეგად, შეიქმნა კლინიკური და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარების ცენტრი 800 კვ.მ ფართობით.

მიმდინარეობს შენობის აღჭურვა თანამედროვე გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის სისტემებით, სახანძრო უსაფრთხოების სრული კომპლექსით, მაღალი სიჩქარის ინტერნეტით, ელექტროენერჯისა და ინტერნეტის ალტერნატიული წყაროებითა და ვიდეოსათვალთვალო სისტემით.


ცენტრის შიდა სივრცე მოიცავს თანამედროვე სამედიცინო ლაბორატორიებს სრულად აღჭურვილი ინვენტარით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) სადგურებს (12 სადგური), იზოლირებული დაკვირვების დერეფნებით და აუდიო-ვიდეო კონტროლის სისტემით, სიმულაციურ ცენტრებს სასწავლო სიმულაციური ტექნოლოგიებით და მანეკენებით, 100-მდე სტუდენტზე გათვლილ კომპიუტერულ კლასს, ლაბორანტისა და ადმინისტრაციის სამუშაო ოთახებს, სველი წერტილებს და მოსასვენებელ ზონებს სტუდენტებისთვის;

შენობა აღჭურვილია ორი ლიფტით და სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინკლუზიური და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხედვას.

23 ოქტომბერი 2025 წ.



დირექტორი : ივანე ჩერქეზიშვილი



ფინანსური მენეჯერი : ნინო ლოცოშვილი

Independent Auditor's Report



**Client: Limited Liability Company
East European University
Financial Statements As of December 31, 2024, and
Independent Auditor's Report**

**Auditor: LLC Financial Management Group
Identification Number: 205279660
Address: #2 Victor Dolidze St.**

Local in Touch, Global in Reach.

LLC Financial Management Group - Official Representative of HLB Global in Georgia

 032 247 09 00

 www.fmg.ge

 info@fmg.ge

 2 Dolidze Str. Tbilisi, Georgia

Table of Contents

Independent Auditor's Report	Error! Bookmark not defined.
Qualified Opinion	Error! Bookmark not defined.
Basis for Qualified Opinion	Error! Bookmark not defined.
Auditor's Responsibility in the Audit of Financial Statements	Error! Bookmark not defined.
Statement of Comprehensive Income	5
Statement of Financial Position	6
Statement of Changes in Equity	7
Statement of Cash Flows	8
Explanatory Notes to the Financial Statements.....	Error! Bookmark not defined.
Principal Activities.....	Error! Bookmark not defined.
Significant Accounting Policies.....	Error! Bookmark not defined.
Basis of Preparation	Error! Bookmark not defined.
Investments in Associates.....	Error! Bookmark not defined.
Foreign Currency Transactions	Error! Bookmark not defined.
Cash and Cash Equivalents.....	Error! Bookmark not defined.
Trade and Other Receivables	Error! Bookmark not defined.
Inventories	Error! Bookmark not defined.
Income Tax.....	Error! Bookmark not defined.
Property, Plant and Equipment	Error! Bookmark not defined.
Intangible Assets.....	Error! Bookmark not defined.
Prepaid Advances.....	Error! Bookmark not defined.
Loans.....	Error! Bookmark not defined.
Trade and Other Payables.....	Error! Bookmark not defined.
